

შაჰამირ შაჰამირიანი [სულთანუმიანი] (1723-1797) - ინდოეთში მოღვაწე ვაჭარი, რომელიც 1770-იანი წლებიდან აქტიურად იყო ჩართული სომხურ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მასვე ეკუთვნის ცნობილი ნაშრომი „დიდების მახე“,¹ რომელსაც ხშირად სომხეთის პირველ „კონსტიტუციად“ მოიხსენებენ. შაჰამირ შაჰამირიანის მოღვაწეობაში, ალბათ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის კავშირებს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან, რომელსაც იგი სომეხი და ქართველი ხალხების საერთო მეფედ მიიჩნევდა და გარკვეულ ეტაპზე, სწორედ მისი მეშვეობით ესახებოდა შესაძლებლად მის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების კანონებად ქცევა, რისი წინაპირობაც ქართველი ბაგრატიონი მონარქის მიერ სომხური ისტორიული მიწების გათავისუფლება და ორი კავკასიელი ხალხის ერთი გვირგვინის ქვეშ გაერთიანება უნდა ყოფილიყო.

საქართველოს შესახებ:

« Je parle tout d'abord de la vaillante nation géorgienne qui, des origines jusqu'à la chute de la monarchie arménienne, défendit, tantôt souveraine, tantôt vassale, le petit pays géorgien, qui ne représente pas plus de deux des quinze provinces d'Arménie. Les hommes de cette nation préservèrent l'éclat de leur liberté et, bien qu'ils eurent parfois à subir des tyrans illégitimes, furent pillés par les barbares, emmenés en captivité et qu'une partie de leur petit pays se soit retrouvée déserte, ils ne fléchirent jamais et conservèrent intacte la puissance rationnelle de leur âme. Ils devinrent au contraire plus braves, et certains sacrifièrent leur vie pour la défense de la liberté, liberté qu'ils préservèrent jusqu'aujourd'hui, entourés d'ennemis et sans l'aide de quiconque. »²

„პირველ რიგში ვისაუბრებ მამაც ქართველ ერზე, რომელიც დასაბამიდან სომხური მონარქიის დაცემამდე ზოგჯერ როგორც სუვერენული, ზოგჯერ კი როგორც ვასალური, იცავდა პატარა ქართულ ქვეყანას, რომელიც სომხეთის თხუთმეტი

¹ Satenig Batwagan Toufanian, *Le Piège de l'Orgueil : Un projet Républicain en Orient au XVIIIe siècle* (Paris : Presses de l'Inalco, 2018).

² Ibid, 288.

პროვინციიდან ორზე მეტი [სიდიდით] არ იქნება. ამ ერის კაცებმა თავიანთი თავისუფლების ბრწყინვალეობა შეინარჩუნეს და მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ უკანონო ტირანების ატანა უწევდათ, ბარბაროსების მიერ გაძარცვულები და დატყვევებულები, მაშინ, როდესაც თავისი პატარა ქვეყნის ნაწილი გაჩანაგებული ჰქონდათ, მათ არასოდეს მოუხრიათ ქედი და უცვლელად ინარჩუნებდნენ საკუთარი სულის ძლიერებას. პირიქით, ისინი უფრო მამაცები გახდნენ და ზოგიერთმა მათგანმა სიცოცხლაც კი შესწირა თავისუფლების დაცვას; თავისუფლებას, რომელსაც ისინი, მტრებით გარშემორტყმულები და დახმარების გარეშე დარჩენილები, დღემდე ინარჩუნებენ.“

სომხეთის შესახებ:

« Ensuite, la dynastie arménienne des Archakouni s'éteignit et Achot, fils de Smbat Bagratouni, s'établit chez nous. Les Arméniens accueillirent Achot Bagratouni avec la même hospitalité et sa dynastie régna sur l'Arménie environ trois cent cinquante ans, jusqu'au règne de Gagik II. C'est avec lui que s'éteignit la dynastie arménienne des Bagratouni de la maison d'Ararat, dynastie qui ne nous est pas inconnue aujourd'hui comme nous sont inconnus les descendants de Japhet ou de Vagharchak, puisqu'actuellement, sur la maison de Géorgie, règne un héritier de la maison des Bagratouni. Dieu le protège! »³

„მოგვიანებით, არშაკუნიანთა სომხური დინასტია გაქრა და ჩვენთან სმბატ ბაგრატუნის ვაჟი, აშოტი დამკვიდრდა. სომხებმა აშოტ ბაგრატუნი ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღეს და მისი დინასტია სომხეთს დაახლოებით სამას ორმოცდაათი წელიწადი, გაგიკ II-ის მეფობამდე მართავდა. სწორედ მასთან ერთად გაქრა არარატის სახლის ბაგრატუნების სომხური დინასტია; დინასტია, რომელიც დღეს ჩვენთვის უცნობი არ არის, რადგან განსხვავებით იაფეტის ან ვაღარშაკისა,

³ Ibid, 222.

რომელთა შთამომავლობა ჩვენთვის უცნობია, ბაგრატუნთა საგვარეულოს მემკვიდრე ამჟამად საქართველოში მეფობს. ღმერთმა დაიფაროს იგი!“

« La nation arménienne se trouve aujourd'hui dans sa presque totalité sous une domination étrangère. Aucun de nous ne peut ni ne doit chercher à se prévaloir d'une quelconque supériorité par rapport à un frère, à un voisin ou au peuple en général. Il n'y a plus, parmi nous, de souverain régnant en despote devant s'inquiéter de renoncer à sa souveraineté et de subir le joug de la loi, et qui pour cette raison, s'allierait avec les Grecs ou les Perses, portant ainsi atteinte à notre pays comme cela s'est si souvent produit dans le passé. Il n'y a plus de nobles parmi nous et si, par hasard, il en restait un, il est inconnu. Il n'y a plus de princes dotés de leurs titres de noblesse, ni de propriétaires terriens héritant de leurs biens. Nous sommes tous sans distinction devenus les métayers de nations étrangères, soumis, dans notre propre pays à un dur labeur, comme des bêtes dénuées de raison. »⁴

„სომეხი ერი დღეს თითქმის სრულად უცხოური ბატონობის ქვეშ იმყოფება. არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია და არც უნდა ესწრაფოდეს რაიმე უპირატესობის მოპოვებას ძმაზე, მეზობელზე ან ზოგადად ხალხზე. ჩვენ შორის აღარ არის სუვერენული მმართველი, რომელიც ერთპიროვნული მმართველობის დაკარგვის შიშით უარს იტყვოდა თავისი სუვერენიტეტის შეზღუდვაზე და დაემორჩილებოდა კანონის უღელს, და რომელიც ამ მიზეზის გამო კავშირს შეკრავდა ბერძნებთან [ბიზანტიელები] ან სპარსელებთან და ამით ზიანს მიაყენებდა ჩვენს ქვეყანას, როგორც ეს ხშირად ხდებოდა წარსულში. ჩვენ შორის დიდგვაროვნები აღარ არიან და შემთხვევით თუ ვინმე დარჩა, ისიც უცნობია. აღარ არიან მთავრები თავიანთი კეთილშობილთა ტიტულებით და არც მიწის მესაკუთრეები, რომელთაც მემკვიდრეობით გადაეცემათ ქონება. განურჩევლად ყველანი უცხო ერების მსახურები გავხდით; დამორჩილებულნი, საკუთარ ქვეყანაში უგონო პირუტყვებით მძიმე შრომაში ვართ.“

⁴ Ibid, 233-234.



შაჰამირ შაჰამირიანის მიერ მადრასში გამოცემული ნაშრომის „დიდების მახე“ სატიტულო გვერდი.

მთარგმნელი გ. ფერაბე

ქვეყნდება პირველად